



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

17 დეკემბერი, 2018 წელი

ქ. თბილისი

მოსამართლე — მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

დისციპლინური საქმე №59/18

-- -- 2018 წლის 21 თებერვლის №-- საჩივრის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 30 ივლისის №59/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 17 დეკემბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:

საჩივრის ავტორი -- -- აღნიშნავს, რომ ქ. -- სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში უფროს ექიმად მუშაობის პერიოდში, 2017 წლის 26 ივნისს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, სამსახურებრივი ავტომანქანით მოუხდა ავტოსაგზაო შემთხვევა, რაზეც შსს-ს საპატრულო პოლიციის მიერ დაჯარიმდა 250 ლარის ოდენობით, რაც გაასაჩივრა -- საქალაქო სასამართლოში. -- საქალაქო სასამართლოს მოსამართლის -- -- 2017 წლის 16 ნოემბრის დადგენილებით, ბრალეულობის დაუდგენლობის გამო, გაუქმდა მის მიმართ დაწერილი ჯარიმა და საქმე დაუბრუნდა შსს-ს საპატრულო პოლიციას ხელახლა გამოსაკვლევად და ობიექტური მტკიცებულებების მოსაპოვებლად. 2018 წლის 09 იანვრის #20/9-114 დადგენილებით, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა ახალი გარემოებების მოკვლევის გარეშე ისევ აღადგინა მის მიმართ ჯარიმა, რაც კიდევ გაასაჩივრა. ამჯერად საქმე განიხილა მოსამართლე -- -- და მიუხედავად იმისა, რომ შსს-ს საპატრულო პოლიციის მიერ არ იყო არავითარი დამატებითი მტკიცებულებები მოპოვებული, უგულებელყო მოსამართლე -- -- გადაწყვეტილება და ძალაში

დატოვა ადმინისტრაციული ჯარიმა. მოსამართლე -- -- არ მოინდომა მისი საქმის ყოველმხრივ შესწავლა და ჭეშმარიტების დადგენა, რადგან ამით პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორს და შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს.

საჩივრის ავტორი უთითებს, რომ ავტომანქანაზე, რითაც ავარია მოუვიდა არ იყო ჩატარებული ტექნიკური გამართულობის ექსპერტიზა, იყო ძველი, ამორტიზებული და დარღვეული იყო მისი შრომის უსაფრთხოება.

-- -- თქმით, ეს არის მისი უფლებების დარღვევა და უსამართლობა, რადგან მოსამართლის მიერ უსაფუძლო უპირატესობა მიენიჭა ძალოვან სტრუქტურას.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- საჩივრით მომართა -- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ და მოითხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 27/07/17 №20/9- -- დადგენილებისა და 26/06/17 №ელ -- სამართალდარღვევის ოქმის/საჯარიმო ქვითრის გაუქმება.

-- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2017 წლის 16 ნოემბრის დადგენილებით (საქმე №4/-- -17), -- -- საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2017 წლის 27 ივლისის №20/9- -- დადგენილება, 2017 წლის 26 ივნისის №ელ -- საჯარიმო ქვითარი და საქმე ხელახალი განხილვის მიზნით დაუბრუნდა შსს სსიპ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში დაიწყო საქმის ხელახლა განხილვა, 2018 წლის 9 იანვარს მიღებული იქნა N20/9- -- დადგენილება, რომლითაც დგინდება, რომ -- -- მიერ ადგილი ჰქონდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-10 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას, მანევრირების წესების დარღვევას, რასაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების დაზიანება.

-- -- 2018 წლის 25 იანვარს საჩივრით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, „-- საქალაქო სასამართლოს 4/-- -17 დადგენილების საფუძველზე საქმის ხელახლა განხილვის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2018 წლის 09 იანვრის №20/9- -- დადგენილების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

-- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2018 წლის

16 თებერვლის დადგენილების თანახმად, -- -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2018 წლის 9 იანვრის №20/9- -- დადგენილება.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, კერძოდ, უნდა შეფასდეს შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული საკითხები.

საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამავე კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.

საჩივრის ავტორის მიერ მოთხოვნილი, მოსამართლის დადგენილების და საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასებაზე/შესწავლაზე ზედამხედველობა წარმოადგენს კანონიერების სფეროს, რაც ვერ გახდება დისციპლინური სამართალწარმოების დროს მოკვლევის საგანი და მასზე მსჯელობა წარმოადგენს მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს

დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 17 დეკემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტითა და 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №59/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

**საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი**